გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შიოშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 294 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში“. დავესწარი 7 სხდომას, მონაწილეობა მივიღე -73 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 13 სხდომას, სადაც განხილული იქნა-17 საკითხი.

ამას გარდა, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო ,საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის-15 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 65 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

1. სოფელ ბერბუკში საჭიროა გზის მოასფალტება, ასევე სოფელ ბერბუკიდან სოფელ ხელთუბნამდე საჭიროა გარე განათების მოწყობა.
2. სოფელ რეხის მოსახლეობის თხოვნით საჭიროა გაკეთდეს სანიღვრე არხი, ასევე ორმოულების გაკეთება და სოფელში არსებული სასაფლაოს შემოსაზღვრა.
3. სოფელ სვენეთში გასაკეთებელია მთავარი გზა, საჭიროა გზის მოასფალტება.
4. ასევე სოფელ ხელთუბანში გასაკეთებელია გზა, მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხი და საჭიროა სასაფლაოს შემოსაზღვრა.
5. სოფელ თორტიზაში საჭიროა ორმოულების მოწესრიგება და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შიოშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ: ხელთუბანი

2023 წლის 19 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: გიორგი შიოშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ხელთუბნის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გვანცა ხაბელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარლენ ნადირაძე;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის გიორგი შიოშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიორგი შიოშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ლიანა ოქროპირიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გიორგი შიოშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: თამარ მურალოვამ, გიორგი შიოშვილმა, და მალხაზ ტერმაკოზაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე

საკრებულოს წევრი: გიორგი შიოშვილი